# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან · კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

შაბათი 26 ივლისი
**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია—„ი მ ე რ ე თ ი“
თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.
ტელეფონი № 4.

№ 115 ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 115



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## — „ი მ ე რ ე თ ი“ —
ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.
ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| | | |
|---|---|---|
| **გაზეთის ფასი:** | ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით . . . . | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. $^1/_2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.
სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.
**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**
რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

უზომოთ დამწუხრებული ქირისუფალნი ოლინკა გრიგოლ ტყეშელაშვილის ასული რუხაძისა, სიმონ ბეჟანის ძე რუხაძე შვილებითურთ. ვასილ როსტომის ძე ტყეშელაშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი და დაუვიწყარი ძმის, მეორისა ძვირფასი ცოლი. ძმისა ბიძისა და მეოთხისა დაუვიწყარი ბიძაშვილისა.
### ნესტორ გიორგის ძის ტყეშელაშვილისა
გადაცვალებას, რომლის დაკრძალვაც იქნება სოფელ მაღლაკში მაცხოვრის ეკლესიაზე კვირას, 27 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება მიცვალებულისა საკუთარ სახლიდან, მესამე ალექსანდროვის ქუჩაზე.
პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.
**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**
**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**
**დ ი ლ ი თ.**
პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. . . . . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . . | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . | $12^1/_2$2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . . | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53
**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი**

### კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
**✖ ✖ წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა ✖ ✖**
იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:
არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული**
პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.
კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

## ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საბუღალტერო კურსები**
### გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიახია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

ექიმის ივ. ბოკერიას
## საავათმყოფო
გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის
**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.
**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.
გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

**ექიმმა ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდე.

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ქ. ქუთაისში
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
### ს. ა. ცეიტლინი.
კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.
მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.
**ტელეფონი 153.**

**ექიმმა გ. ალშიბაიამ** საზღვარგარეთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.


## რუსეთ-გერმანიისა და ავსტრია-სერბიის ომი.

24 ივლისი.

**პეტერბურგი.** (დასასრული) სახლის წინ ბრბო შეჩერდა. ერთმა მანიფესტანტთაგანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც გაატარა ის აზრი, რომ ამ განსაცდელის დროს არ უნდა იყოს ეროვნული დაყოფა, არამედ ყველა, როგორც მარტო ერთი რუსის ხალხი, მზათ უნდა იყოს შესწიროს თავისი სიცოცხლე თავის სამშობლოს ღირსების დასაცავათ. ამ დროს სასახლეს მოუახლოვდა მეორე მრავალრიცხოვანი ბრბო მანიფესტანტებისა, რომელშიც შედიოდენ ბერძენთა კოლონიის წარმომადგენლები, რომელთაც მოქონდათ მეფისა და საბერძნეთის კაროლის სურათები. ამ ბრბომ სასახლის წინ იმღერა ბერძნული და რუსული ჰიმნი. დიდი მანიფესტაცია მოხდა აგრეთვე ვლადივოსტოკში. მანიფესტანტთა რიცხვში შედიოდნენ ქალაქში მცხოვრები იაპონელები.

დღეს ჩვენი ჯარის მოწინავე ნაწილი სუვალკისთან გადავიდა გერმანიის საზღვარზე. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

კანონთა კრებულში გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანებები სათადარიგო ჯარისა, ფლოტის ჯარის კაცთა და აგრეთვე პირველი რიგის რატნიკების მობილიზაციის შესახებ.

აგრეთვე იმპერიის ზოგიერთ ადგილას გამოქვეყნებულია ინსტრუქციები ავტომობილების სამხედრო საჭიროებისათვის უვარგისობისა თუ ვარგისიანობის გამოსარკვევათ; შემუშავებულია წესრიგი ომიანობის დროს მათი მობილიზაციისა და მიღების შესახებ, რაოდენობა ფულისა, თუ რამდენი უნდა მიეცეს ჯილდოთ.

პეტერგოფის სასახლეში მის იმპერატორებითი უდიდებულესობას სათათბიროს თავმჯდომარე წარუდგა.

მეფემ აუდენცია მიიღო საფრანგეთის ელჩი.

დიდი თავადი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე უავგუსტოესი სახლობით საზღვარგარეთიდან დაბრუნდა. (გამოიარა პავლოვსკაში).

ზღვათა სავაჭრო მიმოსვლის განყოფილება იუწყება ბალტიის ზღვის მეზღვაურთა ჯარის სარდლის განკარგულებებს, რომლითაც აკრძალულია სამხედრო პორტებში შესვლა დაღამების შემდეგ. თუ ამას მოითხოვს უკიდურესი საჭიროება, საჭიროა წინასწარი ნებართვის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში სავაჭრო გემებს გაუფრთხილებლათ ესვრიან ზარბაზნებს.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა შესდგეს სავაჭრო სამინისტროში საუწყებათაშორისო თათბირი იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ უზრუნველყონ პეტერბურგი ქვანახშირით.

**უფა.** გუბერნატორმა მცხოვრებლების სახელით, რომელნიც პარაკლის დაესწრენ, მეფეს უქვეშევრდომილესი დეპეში გაუგზავნა. მეფისაგან მან უუმოწყალესი პასუხი მიიღო: „გადაეცით ჩემი მადლობა ყველა პარაკლისზე დამსწრე უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოცხადებისთვის.
**„ნიკოლოზ“.**

**კიევი.** ჯარების უფროსმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება იმ ადგილებისათვის, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული. დადგენილების ძალით, აკრძალულია ყველა საჭირო სახმარებელ საგნებზე ხელოვნურათა და უსინიდისოთ ფასების აწევა, დამნაშავე დაისჯება სამი თვის ციხეში ჩაჯდომით, ან 3000 მანეთის გადახდით.

**ალექსანდრეპოლი.** (ერევნის გუბერნია) სომხთა მოსწავლე ახალგაზდობის მანიფესტანტთა ჯგუფმა ქალაქის ბაღში დივიზიის უფროსი ხელში აიყვანა. აღტაცებული პატრიოტული ძახილითა და ჰიმნის სიმღერით გენერალი გრძნობითნამდი მიიყვანა.

**პერნოვი.** ესტონელთა საზოგადოებებმა აღტაცებული ოვაცია გამართეს მაზრის უფროსის სახლის წინ და განაცხადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი შეებრძოლებიან მტერს.

**ათინა.** ხალხში მწუხარება ისმის სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა მიმართ. თავისუფალი გაზეთი „ემბროსი“ ამბობს: „ვიდრე ჩვენ არცერთ მხარეს არ მივმხრობივართ, საჭიროა ამ კითხვის დასმის შემდეგ, გავიხსენოთ, თუ ვისგან ვართ დამოკიდებული. მაშინ ვენეზილოსი ერის სურვილისამებრ მოიქცევაო“.

**პარიზი.** (საგანგებო) ოგანიემ საზღვაო მინისტრის ადგილი დაიკავა გოტიეს მაგიერ, რომელმაც ავადმყოფობის გამო დაანება თავი. სარპომ სახალხო განათლების მინისტრის პორტფელი მიიღო, გასტონ-დუმერმა - გარეშე საქმეთა მინისტრის, ვივიანი დარჩა მინისტრ პრეზიდენტათ. მანისტრთა ამხანაგებმა: ჟაკემ და აბელ-ფარიმ დათხოვნის თხოვნები შეიტანეს.

**თფილისი.** ქალაქის თვითმართველობამ 25000 მანეთი გადასდვა დაჭრილ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ. უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოსახატავათ უქვეშევრდომილესი დეპეშა გაეგზავნა მეფეს.

**ბერნი.** შვეიცარიის მთავრობამ, მეომარ სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთაც ხელი მოაწერეს პარიზის ტრაქტატს, დასაბუთებული ნოტა შვეიცარიის ნეიტრალიტეტისა, დაუგზავნა.

**მოსკოვი.** ქალაქის თვითმართველობა წინადადებას იძლევა მოეწყოს საერთო სამოქალაქო ორგანიზაცია დაჭრილ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლათ. მოქალაქეთა რწმუნებულებმა 15,000 მანეთი გადასდვეს სანიტარული საჭიროებებისა და დაჭრილ ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლათ.

**სიმფეროპოლი.** 500 ავსტრიელმა ქვეშევრდომმა გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა მიიღონ იგინი რუსეთის ქვეშევრდომათ.

**პეტერბურგი.** ბერლინის ვოლფის სააგენტოს დეპეშის გამო, რომ ბერლინის ბანკებში კონფისკაცია მოახდინონ იმ ფულებისა, რომელიც რუსეთს ეკუთნის, დეპეშეთა სააგენტოს —აუწყებენ ფინანსთა სამინისტროსაგან, რომ ჯერ ისევ ომის დაწყებამდი გერმანიისა და ავსტრიის ყველა ბანკიდან რუსეთმა თავისი ქონება გადაიტანა სხვაგან, გარდა იმ მცირე თანხებისა, რომელიც დატოვებული იქნა სახელმწიფო ბანკისაგან წინათ გაცემულ კრედიტების გადასახდელათ.

**ნიში.** ავსტრიელებმა სადგურ მიოცა დოდოგასთან საეჭრცოგოში მდინარე ლიმეს ხიდს ცეცხლი წაუკიდეს; მტერმა დილით კიდევ დაუშინა ბელგრადს. ყუმბარები ჟანდარმთა კაზარმას, თეატრსა და ქალაქის სხვა ბევრ ადგილს ეცემოდა. არის რამდენიმე მკვდარი და დაჭრილი. სროლა გრძელდება. ერთი ყუმბარა ბელგრადის მიდამოში თავად მილოშის სასახლის ახლოს დაეცა.

**ბელგრადი.** ყუმბარების დაშენა გაგრძელდა საღამოს 5 საათსა და 30 წუთამდი. ეროვნული თეატრი, მეფის სასახლე, ინგლისის მისიის შენობა და სხვა ბევრი სახლი ძლიერ დაზიანდა. მოკლულია სამი. ყუმბარები ეცემოდა აგრეთვე გერმანიისა და ავსტრიის მისიაში. სერბების მხრით სროლა ყოფილა.

**ლონდონი.** მენჩესტერის საზღვაო არხში დატყვევებულ იქნა ხეტყით დატვირთული გემი „დრიაიდი“, აქვე შეიპყრეს 17 ჯარისკაცი გერმანიის ფლოტისა.

**ვაშინგტონი.** ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოება მზათ არის მეომარ მხარეებს დაეხმაროს.

**პეტერბურგი.** 24 ივლისი. მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა კეთილ ინება და ამა ივლისის 19-სა დღესა ლონდონიდან რუსეთს გაემგზავრა. ხელს აწერს სასახლის მინისტრი გენერალ ადიუტანტი გრაფი ფრედერიქსი. დეპეშა მის იმპერატორებითი უდიდებულესობასთან

მყოფ ობერ გოფმეისტერის თავ. შარვაშიძისა სასახლის მინისტრის სახელობაზე. 3 აგვისტოს (ახალი სტილით) მათი იმპერ. უდიდებულესობის მატარებელი გამბურგიდან ბერლინს მოვიდა კვირას, საღამოს ექვს საათზე, მაგრამ იქით აღარ გაუშვეს გერმანიის მთავრობის განკარგულებით, მატარებელმა კოპენჰაგენისაკენ გაუხვია.

**პეტერბურგი.** ფრანგთა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გადახდილ იქნა სადღესასწაულო წირვა, რათა ღმერთმა მიანიჭოს გამარჯვება რუსებისა და ფრანგების ხმალს. წირვას დაესწრენ: წარმომადგენელი მისი უდიდებულესობისა გენერალ ადიუტანტი ბელოსელსკი, ბელოზერსკი, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩები, საელჩოების წევრებთან ერთად, კაბინეტი, მთელის თავის შემადგენლობით მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მეთაურობით, რუსეთის მხედრობის თვალსაჩინო წარმომადგენელნი და ინგლისისა და საფრანგეთის ახალშენების წევრები.

გერმანიის გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, — ვითომც პოლონეთის სამეფოში დიდი არეულობა და რევოლიუციონური მოძრაობა დაწყებულიყოს. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო ამით აცხადებს, რომ ეს ხმები მტკნარი სიცრუეა. მობილიზაცია პოლონეთის ყველა გუბერნიებში მშვენივრათ მიმდინარეობს, არავინ აკლდება. პოლონელები ლოიალობას იჩენენ. წინააღმდეგ გერმანიის პრესის მიერ გავრცელებულ ხმებისა არსად არ წაუხდენიათ არც ტელეგრაფი და არც რკინის გზა.

## უმაღლესი ბძანება უმართებულეს სენატს.

**პეტერბურგი.** განვიხილეთ რა მინისტრთა საბჭოსაგან წარმოდგენილი განსაკუთრებული ჟურნალი, და ვეთანხმებით რა ამ ჟურნალის დასკვნას იმის შესახებ, რომ სრულიად სათანადო არის მთელი იმპერიის დასაცავათ და საზოგადოებრივ წესისა და უშიშროების დასამყარებლათ მივმართოთ განსაკუთრებულ ზომებს, **გბძანებთ:** 1) მთელ იმპერიაში, იქ, სადაც დღემდი არ არის შემოღებული ან სამხედრო და ან განსაკუთრებული დაცვის წესები, გამოცხადებულ იქნეს განსაკუთრებული წესები დაცვისა მომავალ სეკტემბრის 4 რიცხვამდი და ამის უფლებანი მიენიჭოს მთავარ მართებლებს, გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს. 2) და ბრძანება ესე აღსრულებულ იქნას. დედანზე **მისი იმპერატორებითი** უდიდებულესობის ხელით აწერია:

„**ნიკოლოზი**".

პეტერგოფი. 24 ივლისი, 1914 წ.

**პეტერბურგი.** 24 ივლისი. საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე **ავსტრიამ რუსეთს ომი გამოუცხადა.**

**ლონდონი.** ბრიუსელიდან იუწყებიან, მას შემდეგ რაც გერმანიის მეშიდე კორპუსი განდევნილ იქნა ლიეჟიდან, მოეშველა მეათე კორპუსი. ახალი იერიში ლიეჟზე მიიტანეს 23 ივლისს დილით. ბელგიელები თავგანწირვით იბრძვიან. გერმანელებს მოუკლეს 8000 კაცი.

**რომი.** 23 ივლისი. გერმანიის ხმელთ შუა ზღვის ესკადრამ ბრძანება მიიღო ავსტრიის ესკადრასთან ერთად იმოქმედოს და ახლავე შეებრძოლოს საფრანგეთის ესკადრას.

**პარიზი.** „მატენი" თავის სპეციალურ გამოცემაში სწერს: ბელგიის ჯარმა გაანადგურა გერმანიის ულანთა ორი პოლკი. გერმანიის ჯარმა ლიეჟს ზარბაზნები დაუშინა.

**ნიში.** 23 ივლისს, დილით, შიბატს ზარბაზნები დაუშინეს.

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ გაათავა თუ არა კანცლერმა თავისი სიტყვა რეიხსტაგში, მაშინვე გამოცხადდა ინგლისის ელჩი და გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგინა ულტიმატუმი. მინისტრმა უპასუხა: გერმანიას არ შეუძლია დაგარწმუნოსთ, რომ არ დაარღვევს ბელგიის ტერიტორიას. იაგოვმა, ჩამოთვალა რა ყველა ის საბუთი, რომლითაც გერმანიამ გადალახა ბელგიის ტერიტორია, განაცხადა, რომ გერმანიისათვის სამხედრო მოსაზრებანი სხვა ყველა მოსაზრებაზე მაღლა სდგასო.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიიდან ადგილობრივი სამხედრო მთავრობა იუწყება, რომ ცენტრში სრული სიმშვიდეა, რკინის გზებს თვით მცხოვრებნი იცავენ. მოძრაობა წესიერათ სწარმოებს. უმთავრეს შტაბს ცნობა აქვს, რომ გერმანიის ოთხი კრეისერი თეთრი ზღვისაკენ გაემგზავრა, საღამოთი ლიბავიდან 80 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთის მხრით მოისმოდა შორი ხმა ყრუ სროლისა.

24 ივლისი.

**ნიუიორკი.** გამბურგ-ამერიკის გზის გემი შეიპყრეს. გემზე დაატყვევეს 73 გერმანიის სათადარიგო ჯარისკაცი და დიდძალი სურსათი.

**ლონდონი.** ინგლისის სხვადასხვა ადგილას მრავალი გერმანელი დაატუსაღეს.

**ბრიუსელი.** ლიეჟის მიდამოებში ბელგიის ჯარმა ძლევამოსილათ დაამარცხა გერმანელები. გერმანიის ის ჯარი, რომელმაც სიმაგრეებზე იერიში მიიტანა, სრულიად ამოჟლიტეს. გერმანიის ყუმბარებმა სიმაგრეებს ვერა დააკლეს რა.

**პარიზი.** (სავანგებო) ბელგიის იმ ჯარმა, რომელიც ლიეჟას იცავდა, გერმანელთა ყველა იერიში მოიგერა. ვედრენსა და მაასს შორის თვით ბელგიელებმა მიიტანეს იერიში გერმანელებზე და უკუაგდეს.

**პეტერბურგი.** საგენერლო შტაბის ცნობებით რუსეთის ჯარმა დაიპყრა სადგური ეიდკუნენი. ინგლისის ფლოტმა დაატყვევა გერმანიის გემი კრონ პრინცესა „ცეცილია", რომელზედაც აღმოჩნდა ორი მილიონი გირვანქა სტერლინგის ქორო.

**ლონდონი.** ბრიუსელიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ გერმანიის ჯარი ბელგიის ტერიტორიაზე გადავიდა. ბელგიელებმა გადასწყვიტეს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ვილსონმა წინადადება მისცა ევროპის მებრძოლ სახელმწიფოებს შეერთებული შტატები შუამავლობას გაგიწევენო.

**ლონდონი.** ბრიტანეთის სხვადასხვა ნავსადგურებში დაატყვევეს გერმანიის რამდენიმე სავაჭრო გემი.

**ბრიუსელი.** ბელგიის ჯარი ლიეჟის მიდამოებსა და ზღვაზე სასტიკ წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის ჯარის ერთი ნაწილი, რომელიც ლიეჟის მიდამოებში იბრძოდა, იძულებული შეიქნა უკან დაიხია. ვიზესთან ბელგიელებისაგან დანგრეული ხიდი გერმანელების ჯარმა შეაკეთა, მაგრამ ბელგიელთა არტილერიამ ხელმეორეთ დაანგრია.

**ლონდონი.** გერმანიის ელჩი დილის 6 საათზე გაემგზავრება იმ გემით, რომელიც მის განკარგულებაშია.

**კოპენჰაგენი.** მთავრობამ გადასწყვიტა ინგლის-გერმანელთა ომის დროს დაიცვას ნეიტრალიტეტი.

**პეტერბურგი.** ახალ ვერმიტაჟში გაიხსნა საწყობი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობისა. ამ საწყობში მოაგროვებენ ნივთებით შემოწირულობას დაჭრილ და ავათმყოფ ჯარის კაცთათვის. შემოწირულობის მოწოდებას სიხარულით მიეგება აუარებელი მანდილოსნობა. საწყობის გახსნის წინ გადახდილ იქნა პარაკლისი, რათა ღმერთმა მიანიჭოს რუსის ჯარს გამარჯვება. პარაკლისს დაესწრენ მეუღლენი მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისა, სამხედრო და ფინანსთა მინისტრებისა, ფრეილინები და სატახტო ქალაქის უმაღლესი საზოგადოების მანდილოსნები.

ხელმწიფე იმპერატრიცამ კეთილინება და იქ დამსწრენი შემდეგი დეპეშით გააბედნიერა: ვსწუხვარ, რომ საწყობის გახსნის დღეს არ შემიძლია თქვენთან ერთად ვიყო. გულითა გმადლობთ ყველას, ვინც მოისურვეთ გასწიოთ შრომა ჩვენი საყვარელ სამშობლოს დამცველთათვის. მწამს, რომ არაფერს დაიშურებთ თქვენ ამ წმინდა საქმისათვის. ვევედრები ღმერთს, რომ აკურთხოს თქვენი შრომა. **ალექსანდრა.** დამსწრე ქალებმა საწყობის კომიტეტის მეოხებით შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა გაუგზავნეს: საწყობის გახსნის დღეს მრავლათ შეკრებილი ქალები, გაბედნიერებულნი თქვენი მოლოცვით განართხებენ ფერხთა წინაშე თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისა უმხურვალეს გრძნობებს ერთგულებისას და მზათაც ვართ ყოველი ღონით; მოვეხმაროთ საყვარელ მეომრებს, რომლებიც იცავენ ღირსებასა და პატივს სამშობლოისას.

**პეტერბურგი.** თანახმად სახელმწიფოს ძირითად კანონების 87 მუხლისა მინისტრთა საბჭომ დაადგინა 1) ვიდრე არსებობს დღევანდელი არაჩვეულებრივი პირობანი ქაღალდის ფულის ოქროზე დახურდავება შეჩერებულია. 2) სახელმწიფო ბანკს ნება ეძლევა გამოსცეს ქაღალდის ფული კანონისამებრ (კანონთა კრებული ტომი 2-ე, ნაწილი 2-ე, განყოფილება 3-ე, 1903 წლისა მუხლი პირველი). ეს ქაღალდის ფული უნდა გამოუშვას არა უმეტეს ერთი მილიარდისა და 200 მილიონ მანეთისა. 3) სახელმწიფო ბანკს ნება ეძლევა მოთხოვნილებისამებრ დააკმაყოფილოს მოკლე ვადიანი ვალდებულებანი სახელმწიფო ხაზინისა იმ ზომამდი, რასაც მოითხოვს საჭიროებანი ომიანობის დროისა.

**ვლადიკავკაზი.** მცირე დ დიდი ყაბარდოისა და მთიულთა ხუთი საზოგადოების წარმომადგენლებმა, განაცხადეს რა თვისი უქვეშევრდომილესი გრძნობანი, დაადგინეს უქვეშევრდომილესათ სთხოვონ თეთრ მეფეს ნება მისცეს თავისი ხარჯით მოაწყონ 400 კაცისაგან შემდგარი 4 პოლკი.

**პარიზი.** კონსტრუკტორმა მიხელენმა ერთი მილიონი ფრანკი შესწირა ავიაციის საქმეს. ომის დროს ნება მიეცათ ფრანგ მფრინავებს იფრინონ ბელგიის თავზე და იქიდან ყუმბარები ესროლონ გერმანიას. ბელგიის ჯარმა მიმოსვლის საშუალებანი ბელგიისა და ლიუქსემბურგს შორის მოსპო. „პტი პარიზენი" იუწყება ლონდონიდან, რომ ზღვაში შოტლანდიის ჩრდილოეთით ინგლისისა და გერმანიის ფლოტებს შორის ბრძოლა დაიწყოო. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

**პეტერბურგი.** სერბიის მისიამ ცნობა მიიღო, რომ ავსტრიის ჯარმა ყუმბარები დაუშინა გამაგრებულს ქალაქს გროდიშტოს. მცხოვრებლები არ გაუფრთხილებიათ და არც დამორჩილება მოუთხოვიათ მათთვის.

**პარიზი.** ოსმალეთის საელჩო აცხადებს, რომ მობილიზაცია გამოწვეულია მხოლოდ თავის დაცვის მიზეზებით და უარსაყოფს იმ ცნობებს, ვითომც ოსმალეთის ჯარი გერმანელ გენერალისათვის ჩაებარებინოსთ.

**ათინა.** გერმანიის ელჩმა გადასცა მეფეს წერილი იმპერატორ ვილგელმისა. პრესა დიდის თანაგრძნობით ეკიდება სამს ახლათ შეერთებულ სახელმწიფოებს, ნამეტნავად საფრანგეთს. ევროპაში ხმელეთის გზით მიმოსვლა შეწყდა.

**ბელგრადი.** ღამე მშვიდობიანათ გაიარა. ყუმბარებისაგან დანგრეულია სამეფო სასახლე. მტრებმა ქალაქის თითქმის ნაწილი დაანგრიეს ... ბების ბატარეა ...

**რიგა.** ქალაქის საბჭომ ხუთასი ათასი მანეთი გადასდვა მეომართა ოჯახების სახმარებლათ.

**ყაზანი.** ქალაქის საბჭომ გადასდვა ... ათასი მანეთი სამხედრო საჭიროებისათვის. დაადგინა აგრეთვე შემოწირულებათა შესაკრებათ ხელის მოწერა ... მართოს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ. ამ მიზნით შემოწირულებას აგროვებენ თეატრებში და გაჰყიდიან ... ვილებს. საბჭოს კრების დროს ... ხმოსანმა განაცხადა, რომ თვალსაჩინო წვლილს გაიღებენ.

**ლონდონი**, საადმირალო იუწყება, ... ინგლისის მესამე ფლოტის კონტრ-მინონოსცებმა გერმანიის გემი „დედოფალი ლუიზა" დაღუპესო. გერმანიის სატელეგრაფო კამპანიის კაბელი ხმელეთსა და ... რის კუნძულებს შორის გადაჭრილია ... უმთავრესი, ევროპა ამერიკის კაბელი უვნებელია.

**კოპენჰაგენი.** ხმელეთშუა ზღვაში ... ივლისს ინგლისის გემებს მიუახლოვდნენ ალჟირის ნაპირებს და დაანგრიეს მაგრეები, საიდანაც იგზავნებოდა საფრანგეთის ჯარი. ნაპირებიდანაც სროლით უპასუხეს.

**ბრიუსელი.** გაზეთების სიტყვით, ... ქიდან საფრანგეთის საზღვრებისაკენ ... მართა რამდენიმე მატარებელი, ფრანგ... იმ ჯარის გადმოსაყვანათ, რომელიც ... ივლისს საღამოთი ტურნეში მივიდა.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფოს მდივანი ... ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია მოახდინა. ამბობენ, ... კონფერენციაზე განხილულ იქნება ის კითხები, რომელთა დამუშავების შემდეგაც, პრეზიდენტ ვილსონს სურს შუამავლობა იკისროს მებრძოლ სახელმწიფოთა შორის.

**ლონდონი.** ფელდმარშალი ლორდ კიტჩენერი დაინიშნა სამხედრო მინისტრათ. ასკვიტმა თავი დაანება სამხედრო მინისტრობას და მხოლოდ პრემიერობა დაიტოვა.

**ამსტერდამი.** გაზეთებს მაასტრიხტიდან ატყობინებენ, რომ ბელგიის საზღვარზე ომი კვლავ სწარმოობს. 23 ივლ. დილით სროლის ხმა კვლავ მოისმოდა. ... საავათმყოფოები სავსეა დაჭრილ გერმანელ ჯარის კაცთაგან. მაასზე ხიდის კეთების დროს გერმანელებს დიდი ... რალი მოუვიდათ, მხოლოდ ხუთასმა ... მა მოასწრო წყალ-გაღმა გასვლა.

—✦—

# ომის დღიური.

## რუსეთ-გერმანიის ომი.

გუშინ ჩვენ ვსწერდით, რომ გე[რმა]ნიის ჯარებმა ბენდინი და კალიში ...

## კათოლიკე ქართველები და სომეხი ტერ-აბრამიანი.

დასასრულ, დასძენს აბრამიანი შუა მოხსენებაში, სინიდისის წინაშე ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ, უმაღლესი თავადო Eminetissime Princeps) ჩემი შეხედულება გამოვსთქვა ამ საგანზე:

1° კათოლიკე სარწმუნოების აღორძინებისათვის ფრიად მავნებელი იქნება, რომ წმინდა ტახტმა მიიღოს მხედველობაში 7000 სულის თხოვნა, რომელთაც შეამბოხეთა შეცდუნებით ხელ-მოწერილობითი მოხსენება მისცეს. თუ წ. ტახტი დათანხმდა რათა ამათ ლათინური წესი მიიღონ, მაშინ არა მარტო მთავრობა ცუდის თვალით შეხედავს, არამედ მთელი რუსეთის ხალხი ყოველ დღიურ გაზეთებით კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ ამხედრდება; რადგან ხალხი გაუნათლებელია და ჰგონია წესი იგივე სარწმუნოებაა. მაშინ იფიქრებს: კათოლიკე სარწმუნოება, რომ იქონიოს მან უნდა უარჰყოს თავის საყვარელი აღმოსავლეთური წესი. ყველას ჰგონია: რომს არ სურს წესის გამოცვლა, არამედ დოგმატებში შეერთება. ახლა ფაკტიურათ ზოგიერთთა, რომ შესცვალონ დასავლეთის წესზე, ნამდვილათ ფრიად ცუდი გავლენა იქნება არა მარტო რუსის ერში, არამედ აღმოსავლეთის ყველა კათოლიკე თუ არა კათოლიკე ერებში, მე და სხვა ღვდლებმაც, მრავალ გზის ერეტიკებთან და მართლმადიდებლებთან ლაპარაკში დავარწმუნეთ, რომ წ. ტახტი თხოულობს შეერთებას და არა წესს, როგორადაც მრავალ პაპებმა სიტყვით და საქმით განაცხადეს და სხვაც.

რა ოსტატურათ ქსელებში აბამს აბრამიანი რომსა, კარგათ იცოდა მან როცა სწერდა ამას, რომ რუსის მთავრობა თანახმა იყო ლათინურ წესზე გადასვლისა, მაგრამ აბრამიანს ტყვილი სჯირია, როცა სიმართლე ამტყუნებს. როგორ აშინებს ქვეყანას! აბრამიანმა კარგათ იცის, რომ გარდა სომხებისა არავისგან არ არის საყვარელი სომხური წესი. როგორც რუსეთის ხალხი, ისე აღმოსავლეთის ერები იმდენათ ბეცები არ არიან რამდენადაც გენიოსი აბრამიანი ფიქრობს, რომ, რადგან კათოლიკე ქართველებს სომხური წესი არ უნდათ, ამიტომ რომის წინააღმდეგ ამხედრდენ. ამის მსგავს ველურობას კიდევ აბრამიანი და მისნი მსგავსნი თუ ჩაიდენენ. ამბოხება ყოფილა ქართველისთვის სომხურ წესის მოშორება. ეს ლოღიკა ჩვენ ვერ შევგვითვისებია. გადავიდეთ მის მეორე მუხლზე.

2) „შეამბოხეთა მიმდევართ სურსთ საქმის წარმართვა წ. ტახტის დატყვილებით (თუ შესაძლებელ არს), წინააღმდეგ შემთხვევაში სარწმუნოების გამოცვლის ქადილით და სხვაც... აღმოსავლეთელების ყოვლად გათახსირებული ჩვეულებაა ასეთი ლაპარაკი ამ მსგავს შემთხვევაში და სურსთ ამ გზით მოტყუება, მაგრამ მე პასუხისმგებლათ გიდგები ამაში და გაცნობებ, რომ მსგავსი სიტყვები ეკუთნიან ცუდ კაცებს, რომელნიც ჩუმათ დაძვრებიან დედამიწაზე, გაურბიან სინათლეს და უყვართ სიბნელეო".

რამდენადაც აბრამიანი ასე ადვილათ ლანძღავს კათოლიკე ქართველობას, იმდენათ მისი სიტყვები თავისთავზედვე მოიღება. რომის დატყვილება ქართველობას არას დროს არ უკადრია და თუ ამ რიგი ფაკტი აღმოსავლეთის ერებში მოხდა, იმ სიაში სომხობას ადვილათ იპოვის. ან და რაში უნდა დავატყუილოთ რომი? ჩვენ უფლებების აღდგენას ვთხოულობთ. დამტყუილებელი თვით აბრამიანი ბძნდება, როდესაც, ამ კანონიერ მოთხოვნილების წინააღმდეგ ათას ცილისწამებით და ცრუ დიალეკტით იმხედრებს რომში, რათა კარდინალებს, რომელნიც ლივს გვიცნობენ თვალები აებნესთ. აბრამიანის ქვეძრომლობა შემდეგ ნუმერში ცხადდება.

3) „რუსი მთავრობა ამ ჟამად საკმარისათ კარ განწყობილებაშია წმიდა ტახტთან; ამსივე თანხმობით მას სურს **აღმოსავლეთურ წესის პატივსაცემლათ ახალი ეპარქა აღადგინოს სომეხ კათოლიკეთათვის.** (ხაზგას. ჩვენია) აწ თუ დასაწყისშივე ზოგიერთნი დაიწუნებენ ამ წესს და თავდან მოიშორიებენ, ნამდვილათ სასიამოვნო არ იქნება მისთვის. ეს იმდენათ მართალია, რომ პეტერბურგიდან რაჟამს მოვედი თბილისში (ქუთაისში) წარჩინებულთა პირთა მწუხარებით მომითხრეს: დახედე, როდესაც მთავრობა ცდილობს თქვენთვის ეპარქია დაარსოს ანენის ხარჯით, ზოგიერთნი, რომელნიც ავიანთ თავს ქართველებს უწოდებენ ა ახალ ეპარქიიდან განცალკევებას თხოულობენ, აღმოსავლეთურ წესს გაურბონ და დასავლეთის ლათინური უნდათ ჰქონ. (**მე მეკითხებოდენ) ნუთუ რომს ამ საქმეში ხელი აქვს?** (ხაზგ. ჩვენია მე ყოვლის ღონის ძიებით დაუმტკიცე, რომ წ. ტახტს და პაპებს უყვარსთ აღმოსავლეთური წესი, რომში სასწავლებლოც დაუფუძნებიათ აღმოსავლეთურ წესის დასაცველათ დ სხვაც.

ახალი ეპქია, რომელსაც აბრამიანი ელის სად ღვისთვის იქმნება? როგორც ვიცით, საეპისკოპოზო კათედრა თფილისში უნდა დაიდგას. მაგრამ ვისთვის. იმდენი სომეხი კათოლიკენი სად არიან, რომ ერთი ეპარქია დაარსდეს? ამიტომ შიშობს აბრამიანი: ვაი თუ ქართველები გამომეყვნენო. რა ჰქნას: კათოლიკე ქართველები არ არსებობენ, რამდენიმე შეამბოხენი ცდილობენ ხალხი ააჯანყონ, ვითომც მოწინავე პირები წუწუნობენ, რომ ლათინურ წეს თხოულობენ ზოგიერთნი, ვითომც მთავრობა იწყებს და ამ ნაირ სოფისტური ლოღიკით რომს აფრთხილებს. თუ მთავრობას პატივისცემა აქვს აღმოსავლეთურ წესისა (აქ სომხური უნდა ვიგულისხმოთ) უფრო დიდი პატივისცემა უნდა ჰქონდეს ქართულისა, რომელიც ბერძნულიდან და სლავიანურიდან მხოლოდ ენით გაირჩევა. თუ რომს ხელი არ აქვს (რაიც მართალია) კათოლიკე ქართველთა მოთხოვნილებაში, ეს არ არის საქები, უნდა ჰქონდეს, რადგან თუ რომი სომხობას დაიცავს, ქართველობაც უნდა დაიცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის აღსარებულ პრინციპებს უარს ჰყოფს, როდესაც სომხურ წესის დასაცველათ ქართველების უფლებები გაითელება: ამათაც ქართული წესი უნდათ, და თუ ეს არ მოხერხდა მაშინ აქვთ სრული თავისუფლება აირჩიონ ის წესი, რომელიც მათ არ გადაავგვარებს და ვნებას არ მოუტანს. რომს ტყვილებით რისვის სჭედავს და აშინებს: ვითომც ეწყინება მთავრობას, რომ კათოლიკე ქართველები აბრამიანის მართველობას გამოეყვნენ, როდესაც მთავრობა დასთანხმდა ლათინური წესის მიღებაზედ? აქ უნდა გამოვტყდეთ, რომ აბრამიანი თავის სოფიზმში თავის სულის კვეღებას გვიჩვენებს: მას სძულს ლათინობა და ლათინური წესი. ვეკითხებით მისგან ჩვენი წარჩინებული პირები სომეხ გ... გორიანები ხომ არ არიან? ვისაც მ... ლობა საღი აქვს, ადვილათ დაინახ... აბრამიანის მახინჯ მსჯელობას; მისი იძვერა და მავნე სოფისტობა შემდეგ ... მერში უფრო კარგათ გამოსჭვივის.

4) თუ შესაძლებელ არს შეამბოხ... იფიქრონ წ. ტახტის მოტყუილება ... თქმით: - თუ მივიღებთ ლათინურ წ... მაშინ, ნამდვილ სახელწოდებული ქარ... ველნი, რომელნიც რუსის სარწმუნ... ბას მისდევენ, კათოლიკე სარწმუნო... მიიღებენო. — პასუხს ვაძლევ: ტყუ... და სიტუტუცეა; წინააღმდეგ, სწორ... მაშინ, ქართველები უკიდურეს სიმძულ... რეს იქონიებენ კათოლიკე სარწმუნო... სადმი, რადგან მათთვის სულერთია ... რომ დაკარგვენ თავიანთ წესს, რომელ... ძალზე უყვარსთ, და ახლა რა დაინახ... რომ სარწმუნოების გამოცვლით მე... მხრივ ვალდებული უნდა გახდენ წეს... გამოიცვალონ, უეჭველია ძალზე ... გვშორდებიან. იქნება ფრიად ადვ... იყოს მთელი რუსის ერის მოქცევაც ... ესენი და სხვანი დაახლოვებით 15... ანუ 2000 კათოლიკე ქართველნი ლა... ნური წესისანი, იქონიებენ ქართულ ... მოსავლეთურ წესსა; მაშინ შემიძ... ვსთქვა: დიდი დიდება იქნება რომის ... დედა ეკლესიისა და აღმოსავლეთის ე... ბიც და განსაკუთრებით რუსობა და ქ... თველობა უდიდეს კეთილ შთაბეჭდ... ბას მიიღებს.

რისთვის ფიქრობს აბრამიანი, რ... ჩვენ ლათინური წესით ყველა ქართვე... ბის გაკათოლიკება გვსურს? ამ ნა...

კავეს, შემდეგმა დეპეშამ გვაუწყა, რომ რუსის მოწინავე რაზმებმა გერმანიის სამზღვარი გადალახეს და 15 ვერსი გაიარეს. რა ხდება ამ ჟამად ბიალა-ბერჟემენის ფრონტზე— ცნობა არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ გერმანიის ჯარებმა ღრმად დაისახეს გზა პოლანგენსა და მემელს შორის, რომ რუსეთის ჯარების მსვლელობა შეაჩერონ.

როგორც მთავარი შტაბი იტყობინება ოთხი გერმანელი კრეისერი თეთრ ზღვისკენ წავიდა. 80 ვერსის მანძილზე, საღამოს ჟამს ლიბავაში სროლის ხმა ისმოდა.

## საფრანგეთ-გერმანიის ომი.

როგორც უკანასკნელის ცნობებიდან სჩანს, ბრძოლის ველი გერმანიის ჯარებისთვის თანდათან ფართოვდება. ახალი ცნობა საფრანგეთის სამზღვრებიდან არ არის. ამიტომ არავიცით რა განვითარება მიიღეს გერმანიის ჯარის ოპერაციებმა სირეს ახლოს. სამაგიეროთ ცნობა არის ლონდონიდან, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ გერმანიის ჯარებმა ღრმად შესდგეს ფეხი ბელგიის ტერიტორიაზე. თითქმის ერთსა და იმავე დროს გერმანიის ჯარები ბელგიის ორ სხვადასხვა პუნქტში გაჩნდენ. ეს ჯარები რომ სხვადასხვა გზით მიდიან საფრანგეთის ჩრდილო სამზღვრისკენ სჩანს იქიდგან, რომ იმ დროს, როცა გერმანიის მეცხრე და მეათე კორპუსები მოქმედობს და მხოლოდ მდინარე მასის მარჯვენა ნაპირი აქვს აღებული, სადაც ბელგიელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ, გერმანიის მეორე ჯარი უკვე ნამიურთან არის.

ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ქალაქ ნამიურიდგან საფრანგეთის ჩრდილო სამზღვრამდის გაცილებით ნაკლები მანძილია, ვიდრე ნამიურიდგან გერმანიის დასავლეთ სამზღვრამდის, მაშასადამე ერთმა ნაწილმა გერმანიის ჯარისამ უკვე ნახევარი ბელგია განვლო. აიღებს თუ არა გერმანიის ჯარი ნამიურს და წავა იგი თუ არა საფრანგეთის მახლობელ ქალაქ მობეჟისკენ, ეს საკითხავია რადგანაც, როგორც უკანასკნელი დეპეშა იუწყება ლონდონიდან, ნამიურში ბელგიელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელებს, რომელთაც იერიში მიაქვთ ორივე ზემოხსენებულ ქალაქებზე.

## გერმანიის ჯარი.

გერმანიის ჯარის რაოდენობა, რომელსაც ამ ჟამად ერთსა და იმავე დროს რამდენიმე სახელმწიფოსთან უხდება ბრძოლა შემდეგ ნაირად გამოიხატება.

ამ ჟამად გერმანიის ჯარი 25 კორპუსისგან შესდგება. კორპუსის შემადგენლობა შემდეგია: 8 ქვეითი ჯარის პოლკი (24 ბატალიონი) 1 მსროლელთა ბატალიონი, 5 კავალერიის პოლკი (20 ესკადრონი), 24 შეზმული ბატარეია (16 მსროლელი), 4 მძიმე ბატარეია, 1 საპიორთა პოლკი (4 როტა) და 1 ბარგის ბატალიონი.

ომის დროს კორპუსის შემადგენლობა თითქმის იგივე რჩება. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ ომის დროს თითქმის ნახევარზედ მეტი კავალერიისა კორპუსის შემადგენლობიდან გამოდის და მათგან ცალკე საკავალერიო დივიზიებს აწესებენ. ამ რიგად გერმანიის კავალერიის 110 პოლკიდან კორპუსის მხედველობაში მხოლოდ 44 პოლკი რჩება.

ლანდვერისა და ლანდშტურმის გარდა, რომელის აქტიურ სამხედრო ოპერაციებისათვის გამოუსადეგარნი არიან, ომის დროს გერმანიას შემდეგი ძალები შეუძლიან წამოაყენოს:

1) 25 სამხედრო კორპუსი—625 ბატალიონი ქვეითა ჯარის და 176 ესკადრონი კავალერიისა სულ 791. 000 კაცი, 4000 ზარბაზნით.

2) 11 საკავალერიო დივიზია—264 ესკადრონი კავალერიისა—46000 კაცი, 132 ზარბაზნით.

3) 25 სარეზერვო დივიზია—400 ბატალიონი ქვეითა ჯარისა და 100 ესკადრონი კავალერიისა—სულ 473.000 კაცი, 1.350 ზარბაზნით.

4) 6 განსაკუთრებული დივიზია—72 ბატალიონი ქვეითა ჯარისა და 18 ესკადრონი კავალერიისა—სულ 85000 კაცი, 216 ზარბაზნით.

ამ რიგათ საერთო რიცხვი გერმანიის საომარ ჯარისა უდრის 1.400.000 კაცს, 5 700 ზარბაზნით.

## გერმანიის საომარი გეგმა.

რამდენადაც ცნობილია, ორ ფრონტზე ბრძოლის გეგმა თავდაპირველად შედგენილია ჯერ კიდევ მოლტკესგან. ამ გეგმას აზრათ ჰქონდა ერთსა და იმავე დროს საფრანგეთში შესევა ისე, რომ რუსეთის წინააღმდეგ შედარებით ნაკლები ძალა რჩებოდა. ფრანგულ სპეციალურ პრესაში ამასწინათ გამოქვეყნდა გერმანიის გეგმა ომისა ორ ფრონტზე. როგორც ამ უკანასკნელ ცნობებიდან გამოირკვა, ამ ჟამადაც გერმანიის გეგმა იმავე სახისა ყოფილა—შესევა საფრანგეთში მთელის ძალებით და წამოწევა რუსეთისკენ მცირე შემაკავებელ ძალისა.

ასეთი გეგმა ომისა მეტად ბუნებრივია. საფრანგეთზე თავდასხმა იმით არის საუპირატესო, რომ საომარ ოპერაციების უფრო ჩქარა განვითარებას უქადის გერმანიას, დასავლეთის თეატრი ომისა (საფრანგეთის სამზღვარი) ხუთჯერ ნაკლებია აღმოსავლეთის (რუსეთის სამზღვარი) და საუკეთესოთ არის მოწყობილი რკინის გზებით. სწრაფ შეტევას აქ უფრო მეტი შედეგი შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე მოქმედებას პოლესიეს ჭაობებში და ლიტვის ტყეებში.

მეორეს მხრივ გამარჯვებული მსვლელობა საფრანგეთის ჯარისა უფრო საშიშია გერმანიისთვის, ვიდრე გამარჯვება რუსეთისა აღმოსავლეთ პრუსიაში. საფრანგეთმა რომ ლიუქსემბურგი და ლოტარინგია დაიჭიროს, გერმანიის რკინის და ფოლადის ქარხნებმა უნდა მოქმედება შესწყვიტონ, ნახშირისა და მადნების უქონლობის გამო, საფრანგეთის ჯარის რეინზე გადასვლა სრული შეჩერება იქნებოდა გერმანიის სამრეწველო ცხოვრებისა. იმ დროს როცა, თუნდაც რუსის ჯარები მდინარე ოდერამდის მივიდენ, გერმანიის მრეწველობას საფრთხე და გერმანიის ჯარს მუდამ ექნება სურსათი ომის გასაგებათ.

ამიტომ, როგორც თვით საფრანგეთის გენერალური შტაბიც ფიქრობს, ომის დროს გერმანია საფრანგეთისკენ 18—19 კორპუსს წასწევს. საზოგადო რიცხვი კი საფრანგეთისკენ მიმართულ გერმანიის ჯარისა შემდეგი იქნება: 19 სამხედრო კორპუსი, 14 სარეზერვო დივიზია, 8 საკავალერიო დივიზია და 23 ბატალიონი მძიმე არტილერიისა—სულ 897,000 კაცი 3,780 ზარბაზნით.

რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლიან ამ ძალის წინააღმდეგ საფრანგეთს? 250,000 ჯარის კაცის გარდა, რომელიც დასჭირდება საფრანგეთს ბელგიისა და იტალიის სამზღვრებზე, მას შეუძლიან გერმანიას წინდაუყენოს 1,050,000 ჯარის კაცი. ამ რიგად საფრანგეთს 150000 ჯარის კაცით მეტი ეყოლება. ექნება ამ რიცხვითი უპირატესობას მნიშვნელობა თუ არა ომში, ამას შემდეგი ამბები გვიჩვენებენ.

## მთავრობა და საზოგადოება.

„რუსკოე სლოვოს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ:

„იმ დიდ ამბების დროს, რომელსაც განიცდის დღეს მთელი რუსეთი, მმართველ წრეებში გაიმარჯვა იმ მიმდინარეობამ, რომელიც ქადავს მიზნად მთავრობისა და საზოგადოების აუცილებელ გაერთიანებას მოითხოვს.

საერთო საფრთხის შეგნებამ და საზოგადოებრივ წრეებში წრფელ პატრიოტულ გრძნობების გადმოხეთქამ გამოაღვიძა ხილი ჰპოვეს მთავრობის წრეებში, ყოვლად შეუძლებელია ამ ჟამად ლაპარაკი იმაზედ, რომ მთავრობა სალ საზოგადო გრძნობის წინააღმდეგ წავიდეს.

მთავრობის თვალსაჩინო წარმომადგენელნი ირწმუნებიან, რომ სხვა გზა არ არის, თუ არ საზოგადოებასთან გაერთიანებისა და დავიწყებული უნდა იქმნეს ყოველივე ის რაც იწვევდა წარსულში უთანხმოებას.

მთავრობა უსათუოდ გადასდგამს ნაბიჯს საზოგადოების დასაკმაყოფილებლათ და მზათ არის ღირსეული პასუხი გასცეს პატრიოტულ გრძნობას, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი.

— განსაჭირისა და განსაცდელის დროს— უთქვამს ერთს თვალსაჩინო წევრს კაბინეტისას – რუსეთი გაერთიანებული უნდა იყოს, და ყოველი საკითხი, რომელიც პოლიტიკურ გათიშვას იწვევდა აქამდისინ, უკან უნდა იქმნას დაყენებული. ის რასაც ეხლა რუსეთი განიცდის იმდენად მშვენიერი და ძლიერია, რომ ამ გრძნობაში, როგორც განწმენდის ცეცხლში უნდა დაიწვას ჩვენი სხვადასხვაობა და მტრობა.

მთავრობას არა სურს რომ მისი ასეთი გრძნობები მარტო სიტყვებით არ განისაზღვროს. მას სურს საქმით დაამტკიცოს თავისი სურვილი საზოგადოებასთან გაერთიანებისა.

სწორეთ ამით არის გამოწვეული ის ზომა, რომ 17 ივლისის კრებაზედ მინისტრთა საბჭომ მოიწონა სახელმწიფო სათათბიროში წარსადგენად პროექტი საყოველთაო სწავლისა მთელს იმპერიაში.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა აგრეთვე ნ. ა. მაკაროვის წინადადება საერთო საერობო ყრილობის მოწვევისა.

მახლობელ დღეებში უნდა ველოდეთ მთავრობის უფრო გაბედულ ნაბიჯებს ამ გზაზედ.

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

✦ დღეს, დღის 12 საათზე თავადაზნაურთა საკრებულოს ბაგრატის ტაძართან, არქიელის გორაზე წმინდა გიორგის ეკლესიაში გადიხდიან პარაკლისს, რათა ძლევა მოსილი რუსის მხედარს მიენიჭოს გამარჯვება.

✦ დღეს, 26 ივლისს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში გაიმართება საჯარო საღამო, ლოტო და ცეკვა.

✦ როგორც ბელაგორიდან გვწერენ, იქაური მომრიგებელ სასამართლოს გადატანა ნდომებიათ დ. ყვირილაში.

✦ 21 ივლისს ბაზრის ზედამხედველის აღმასრულებელმა ი. ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა მეხორცე იროდიონ კუხიანიძეს ხორცის უწეს-რიგოთ გაყიდვისათვის.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში სანოვაგე ძლიერ გაძვირდა.

✦ როგორც სოფელ ქორეთიდან (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ. აგერ სამი წელიწადი ყოფილა, რაც საწყალ გლეხებს შვილის ასაშენებლათ საკმაო ფული შეუკრებიათ, მაგრამ ჯერ მათთვის არც შკოლა აუშენებიათ და ეს ფული სად გაქრა არავინ იცის.

✦ ქუთაისში ქალაქის უფასო საავათმყოფოს აუარებელი ავათმყოფი აწყდება.

✦ ამ ბოლო ხანს მედუქნეებს პოლიცია სანოვაგის ფასის მომატებისათვის ძალზე დევნის. მათ თავისთავათ ნება არ ჰქონიათ ფასის მომატებისა. პოლიცია ასეთ უსინდისო ჩარჩ ვაჭრებს ოქმებს უდგენს.

✦ ქუთაისში გ. გიგინეიშვილის, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალტრო კურსები მომავალი სეკტემბრიდან კვლავ გაგძელდება. კურსებზე მეცადინობა დაიწყება 15 სეკტემბრიდან.

✦ 24 ივლის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ გაარჩია 6 ებრაელის სანიტარული საქმე. ისინი დამნაშავეთ იცვნეს და თითო მანეთით დააჯარიმეს.

✦ დღეს 26 და ხვალ 27 ივლისს „მონ-პლეზირის“ საზაფხულო შენობაში ნაჩვენები იქნება ჩვენი მცხოვანი მგოსნის აკაკის სურათი ერთად ქართველ მწერალთა გუნდში.

✦ როგორც ჩოხატაურიდან გვწერენ, აქ ამას სინათ ცინცაძის აბრეშუმის სახმობ ფარდულიდან გადმოვარდა გლეხი სიხარულიძე, რომელიც ამ დღეებში კიდეც გადაიცვალა.

✦ სანიტარმა შავგულიძემ ძველი მოედნის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა ცირიკიძესა და ძნელაძეს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

## სალიტერატურო შენიშვნები.

(„გლეხი კაცის ისტორია“ ერკმან-შატრიანისა. თარგ. ივ. მაჭავარიანისა.)

I.

ერკმან-შატრიანის ნაწარმოები წარმოადგენს შესანიშნავს ნიჭიერათ დაწერილს სალიტერატურო ნამოქმედარს, რომელსაც ყოველთვის დიდის გატაცებით და ხალისით კითხულობენ ყველანი.

მაგრამ გადის დრო-ჟამი და, როგორც ყველიფერს ამ ჩვენს „ცოდვილ“ ქვეყანაზე ამსასიქადულო, დიდი ტალანტის მწერლების ნაწარმოებსაც ივიწყებენ. რას იზამთ, სულ ყოველივე მოდის ბრალია. მოდა იყო, კითხულობდენ, მოდა არ არის, არ კითხულობენ. ადვილად შესაძლებელია, ეს ჩემი სტატიაცმოდამ არავის წააკითხოს. მაგრამ მე მაინც, რაკი ქართულათ გამოიცა ამ იშვიათ მწერალთა ნაწარმოები და წამიკითხავს, ვალდებულად ვთვლი თავს მოკლეთ მაინც გავუზიარო მკითხველს ჩემი შენიშვნები.

იმას მოგახსენებდით, ერკმან-შატრიანიც, რომელთა ნაწერებით წინათ ძალიან და მეტისმეტადაც გატაცებულნი იყვნენ ყველანი ძლიერ ადრე და მალე დაივიწყეს. წინათ სახელი იმიტომ გაითქვა ამ ორმა-ერთგანუყრელ არსებათ გადაქცეულმა ელზასელმა მწერალმა, რომ მთელი ევროპის ხმელეთი საფრანგეთს და მის მიერ საზარელომში დაკარგულ ორს მდიდარს პროვინციას-ელზას-ლორენს შეყურებდა დიდის ინტერესით და გულის ძგერით.

ამ საგანს უტრიალებს გარშემო ერკმან-შატრანის ნაწარმოებიც, რომელიც თავიდან ბოლომდის გამსჭვალულია დიადის პატრიოტულის გრძნობით და უაღრესი პოლიტიკური მოსაზრებითა და ტენდენციებით. ელზას-ლორენის საქმეც, რომელიც გამწარებულ ფრანგს სისხლით უმღვრევდა თვალებს, მწარეთ გულს ულადრავდა და ვისიც უმდიდრესი მომავლის გარეშე პოლიტიკის ღერძი რუსეთს ჩაუგდო ხელში, თანდათან გაქრა პოლიტიკური მძიმეთ მოღრუბლულ ცის არე-მარიდან და ერკმან-შატრიანიც დაივიწყეს, რასაკვირველია-მაგრამ არუნდა დავივიწყოთ, რომ ამ წერილების ნაწარმოებს - „გლეხი-კაცის ისტორიას“, მიუცილებლათ, წმინდა ხალასი სამხატვრო ბეჭედი აზის.

და აი, სწორედ ახლაა დრო, რომ ჭეშმარიტად, მიუდგომლად და სინდისიერად განხილული და დაფასებულ იქნეს ამ დიდათ საყურადღებო მწერლების პოლიტიკური და პატრიოტული სული, რომელიც წინათ მთელს ქვეყნიერებას აღელვებდა, ცეცხლივით აპრიალებდა, ახლა დაცხრა თითქმის და, თუ არის საინტერესო და ყურადღების ღირსი მხოლოდ იმ მხრით, რომ ეგ ოდესღაც დიდი საქმე უკვე ულმობელ ისტორიას ეკუთვნის. ჩვენ გვრჩება ხელში ნაწარმოები, რომელიც გასაოცარის გულწრფელებით და უბრალო, ღრმა და ძლიერი ჭეშმირიტი მხატვრობით გადმოგვცემს ცხოვრების მრავალ-ფეროვან, მდიდარს სინამდვილეს რომელიც წმინდა იდეალური და დამშვიდებული სულისკვეთებით მეტად სასიამო მხიბვლელ ტალანტის-ელფერშია სულერთიანა გახვეული.

ბნი ივ. მაჭავარიანი პირველია ჩვენში, რომელმაც ქართველთა ყურადღება მიაქცია ერკმან-შატრიანზე. „გლეხი-კაცის ისტორიას“ პირდაპირ ფრანგულიდან ლამაზათ ქართულად გადმოთარგმნით დი, რა თქმა უნდა, მადლობის ღირსია იგი.

პირდაპირ უცხო ენებიდან კლასიკურ და საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა გადმოთარგმნა საქართველოში ვერ ხერხდება აქამდის, ვერადავერა. მართალია, არის ქართულათ გადმოთაგმნილი „სპარტაკი“ ნინო ტატიაშვილის ასულის ყიფიანის მიერ, „ციხე შიგნიდან გატეხილ“ სოსიკო ბაქრაძის მიერ, დიდი შექსპირის ნაწარმოებნი ივანე გ. მაჩაბლის მიერ, ბიქტორ ჰიუგოც, გითეც და ასე გაშინჯეთ, დიდიბრიტანიის სახელგათქმული მგოსანი ლორდი ბაირონიც...

მაგრამ იცით, რა სთქვა ბაირონის რუსულიდან ამ გადმოქართულებაზე ამ 35 წლის წინათ ჟურნალ „კრებულში“ ჩვენმა უპირველესმა კრიტიკოსმა ბატ. სკანდელმა: ჟურალ „მნათობის“ მთარგმნელი ბაირონის ჩაილდ ჰაროლდს“ სწორეთ ისე თარგმნის, როგორც ქალაქის კინტო თარგმნის:

მოსაზრება, რომელიც უტოპიათ მიგვაჩნია, მხოლოდ აბრამიანის ლოღიკას შეუძლია წარმოშობოს. ტყვილი და სიტუტუცეა მისი შეთხზული წინადადება რადგან კათოლიკე ქართველებს ლათინური უნდათ მხოლოდ იმიტომ, რომ სომხურ წესს თავი დააღწიონ და მასთან მის გათახსირებულ მართველობას. ქართულ ენაზე წირვა ლოცვა არც ერთ ქართველს არ მოსძულებია. კათოლიკე ქართველები ქართულ წესსაც თხოულობენ, მაგრამ ამის განხორციელებისთვის მოქმედება, საუბედუროთ, არ არის კარგათ დაყენებული. ამის შესრულებას, რა შეუძლებელათ ხედვენ ჯერჯერობით, ლათინურს ეწაფებიან, ამისთვის ჩვენი მოძმე ქართველნი (მართლმადიდებელნი) სრულობითაც უკიდურეს სიმძულვარეს არ გამოუცხადებენ რომს. აბრამიანი ლათინის წესის ქართველთა რიცხვს მხოლოდ 1500 ან 2000 გვიჩვენებს და უნდა, რომ ამათ ქართული წესი მიიღონ. ეს ცარიელი სიტყვაა, რომელიც აბრამიანის გულ-წრფელობის გამომხატველი არ არის.

ლათინური წესის წინააღმდეგი თუ არის, რამდენიმე ქართულისაც უნდა იყოს. ქართული რომ მოეთხოვათ, მაშინ სხვა საბუთებს წამოაყენებდა; იმისი დარდი მხოლოდ ის არის: ხელიდან არ გამომეცალნენო და სომხურ ეპარქიის აღდგენა მით არ შეფერხდესო. თუ მართლა აბრამიანს ქართული წესი უნდა შემდეგ მუხლში გამოსჭვივის.

5) „თუ ვინმე ამ 7000 პირთაგანი რომში მოვლენ ან თხოვნებს მოგართმევენ, როგორადაც წამქეზებელნი მათ ასწავლიან, ჩემი უმდაბლესი მოსაზრება არის, რომ წ. ტახტმა მიუგოს მათ: — თუ ერთხმად იგინი აღმოსავლეთურ ქართულ წესს ქართულ ენაზე მოითხოვენ, მაშინ წ. ტახტი ამაზე მოიფიქრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დარჩნენ იმ წესზე, რომელზედაც საუკუნოებით ყოფილან. (ხაზგასმული ჩვენია).

ამ დიალექტას ვინ ვერ მიხვდება? საუბედუროთ რომისგან დაშორებული ვართ; ჩვენზე როგორადაც ეტყვიან, იქ იმ რიგათ იქცევიან აბრანიანი აგონებს: ლათინური არ შეიძლება, ქართული გთხოვონო. თუ ქართულს ითხოვენ, მაშინ კი ცივი „ვიფიქროთი“ გაისტუმრეთო. რომს რა მოფიქრება სჭირია? თუ ქართული წესი მისი შეხედულებით შესაძლებელია და ყველასათვის სასიამოვნო, რისთვის და რაზე უნდა მოიფიქროს რომმა? მარტო ჩვენი უფლების აღდგენისათვის მოფიქრება და დაყოვნება საჭიროა? ამას იმიტომ ამბობს აბრამიანი, რათა თვითონ საქმე გაიწყოს დროით და თფილისში საეპისკოპოზო კათედრა დაიარსოს. რისთვის უნდა ქართველები სომხურ წესზე დარჩნენ? აქ არ მოვიყვან მოხენების დანარჩენ ადგილებს, სადაც ლანძღავს და უკიჟინებს თამარაშვილს ანოტინოვებს, კონსტანტინეპოლის მონასტრის მღვდლებს, და ეძახის მათ მშვიდობის დამრღვეველთ, შოვინისტებს, რომელთაც გვაროვნობის მეტი არა სწამსთრა.

მკითხველი დაინახავს თუ რამდენათ მართალი აბრამიანი და თუ რამდენათ უმზკავსობაა რომში ამ სახის მოხსენების გაგზავნა! აი ვინ არღვევს მშვიდობას, აი ვინ ა'ის ცრუ კათოლიკე, შოვინიზმით გაქღენთილი. სამწუხარო ის არის, რომ რომში არ გვიცნობენ ამ მოხსენებისდაგვარად გვიცნობენ და მისდაგვარ გვსჯიან. ჩვენ ყველანი გვჩაგვრენ გარეთ თუ შიგნით. დრო არის გამოვიფხიზლოთ და ათას თეორიებს თავი დავანებოთ როგორც დასაწყისში ვამბობთ, ვისაც ჩვენში კიდევ აქვს თავის თავის პატივი და ეროვნული რამ სიამყე და წმინდა გრძნობა, იგი მოვალეა პასუხი მოსთხოვოს აბრამიანს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე სტუმრათ არის. ყველანი მოვალე ვართ ხმა ავიმაღლოთ, რათა რომს დავანახოთ ნადვილი ჭეშმარიტება ნუთუ ეს ჩემ მიერ გამოქვეყნებული აბრამიანის წერილი საკმარისი არ არის, რათა ქართველ საზოგადოებამ და განსაკუთრებით კათოლიკე ქართველთა მოწინავე პირებმა ცხადათ დაინახონ თავისი გამძვინებული მტერი, მისი გაიძვერა და წყვდიადური მოქმედება და გასცენ შესაფერი პასუხი ამ გვარს გასაკიცხს და საზიზღარ მაბეზღრობის და ცილის წამებას? შეგნებულ და პატიოსან ადამიანისთვის ძნელი ასატანი უნდა იყოს ამ სახის ჩირქი, რომელიც, ვიღაც სომეხი ჩვენს ტერიტორიაზე გაბატონებას ლამობს და სულ უმიზეზოთ, უკანონოთ გვცხობს!.. ამ სახის ფაქტს ვერც ერთ ხალხის ცხოვრებაში შევხვდებით. რა! მარტო ჩვენ ვიქნებით ასე აბუჩათ აგდებული? მარტო ჩვენ არ გვეცოდინება ჩვენი უფლებების დაცვა და აღდგენა? მარტო ჩვენ ვიქნებით უსასჯელოთ მარადის შეურაცხყოფილნი?!. დროა, შეგნებულ მოქმედებას შევუდგეთ.

ქართველი კათოლიკე.

P. S. ვსთხოვ სხვა გასეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.
ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები**, პორფთელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
**ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყოველ კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

**Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ**
симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის
მაღლა ციდანაო,
დაბეჭდილი წიგნი მომდის
საყვარლისგანაო.
კუსკიმ-კუსკიმ ობლაკ იდოტ
ოტ ვისუკ ნიბუ,
ნაპჩატანა პისმა იდოტ
ოტ ლუბოვ ნიცუ...

ამ მწარე, შხამიანს დაცინვას ყურიც არ უგდეს ჩვენმა უნიჭო მთარგმნელებმა და დღესაც განაგრძობენ თავიანთ მეტათ თავმოსაწონებელ კვინტრიშს. თარგმნიან ვითომდა დიდის ტალანტით დაწერილს ნაწერებს ახალმოდის სიმბოლისტებისას, დეკადენტებისას, პირდაპირ შერყეულებისას და პირველხარისხოვანი მწერალნი, გვირგვინნი საზოგადო, სოფლიო ლიტერატურისა, რომელნიც საქვეყნოთ დაფასებულნი არიან უდიდესი კრიტიკოსებისაგან, სრულიად უყურადღებოთ რჩებიან. პოლონელებს, რუსებს და სომხებს კი მდიდარი ლიტერატურა აქვთ გადმოთარგმნილი...

რას ამტკიცებს ეს გარემოება?

ეჰ! ბევრ რასმე, ჩემო მკითხველო! მაგრამ უმთავრესად, ჩვენს გონებით დაბნელებას, დიდს გამოყრუებას და... რომ გამოჩნდეს კიდეც ნამდვილი და ქეშმარიტი ჯგუფი საუცხოვო ქართველ მთარგმნელებისა, ვინა ყავს, ან ვინ ეყოლება წამკითხველი ჩვენში?

1890 წ., ვინ არ იცის, განა, რომ უმთავრესად, ჩემი მონდომილობით*) დაარსდა „ქართული წიგნების გამოცემელი ამხანაგობა" თფილისში, რომელმაც საუცხოვოდ მოაწყო მდიდარი სტამბა, ჩვენი ნიჭიერი მწერლების ნაწარმოების ბეჭდვა, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, ისე საუცხოვოდ, რომ სომხური საუკეთესო გაზეთი „მშაკი" ხშირად უთითებდა ამ შესანიშნავად მოწყობილ ქართულ საქმეზე და ჩვენ, ქართველებმა რა ჩავიდინეთ? ისა, რომ მთელი ეს სამაგალითო სტამბა და საქმე დაგირავებულია და იმავ გადამთიელთა მდიდარ სოვდაგრებს ჩაუვარდება დღეს თუ ხვალ ხელში.

აპარტყუნებს კი ყურს ვინმე?

აი, რა უშველებელს, გულის მომკვლელ საკითხს მივაწყდი ჩემდა უნებურად, და ეს ჩემი სტატია დღეს რომ ამ საგანზე იწერებოდეს, ვინ იცის, რა დასკვნამდი მივიდოდი აქ. ამიტომ, რომ სადმე ხრამში არ გადავიჩეხო, ისევ ჩემს საგანს დავუბრუნდები.

ერკმან-შატრიანის, როგორც სხვა ყველა მათ ნაწერებს, ისე ამ „გლეხ-კაცის ისტორიასაც" წმინდა დემოკრატიული ხასიათი აქვს. მაგრამ ის იდეები და ტენდენციები, რაც საფუძვლათ დაედვა ამ ნაწერებს, რომ დავივიწყოთ და მხოლოდ წმინდა სალიტერატურო მხრითაც რომ დაფასდეს ეს მწერლები, იგინი მაინც ძვირფასი და ფრიად შესანიშნავი არიან. დასახელებულ მწერალთა ნაწერები გამსჭვალული არიან ძალიან გულწრფელი, ნაზი იუმორით ფრანგებისადმი ღრმა, ძლიერი სიყვარულით, რომელიც აერთებს იმათთან ცოცხალის ენით, გულით და სურვილებით, მაგრამ სულით კი სხვები არიან. ეს სახელოვანი ელზასელი დიდი პატრიოტები, რომელნიც დემოკრატიული საფრანგეთისთვის თავდადებულნი არიან, რომელსაც ასე შეუბრალებლათ ღუპავდა ნაპოლეონის იმ ფრიად სისხლისმღვრელი საშინელი ომები, რომელმაც მოგლიჯა ელზას-ლორენი თვის უსაყვარლეს სამშობლო ქვეყანას, მთელი თვისი არსებით, ცხოვრებით და სალიტერატურო ტალანტის თვისებით წმინდა ნემცები არიან.

*) დიდი დახმარება გამიწია ამ საქმეში განსვენებულმა ნიჭიერმა მოღვაწემ ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარმა. ავტ.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

# განცხადება.

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
**ამით აცხადებს, რომ**

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ეროად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

# თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის **აბანო**,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

# შექსპირი ქართულად!
გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

# შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოსკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. - გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს - 1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და იიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ლექს. ასული მაჩაბლისა**

# ნ. ს. ტერკის მაღაზია
**ქ უ თ ა ი ს შ ი**
# ველოსიპედები




შინები, ნაწილები და მოწყობილებან კონკურენციის გარეშე
**ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ**
ფულისგადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

დაიწყო ხელის მოწერა

# ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.

წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელდება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **თფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალენჯიხაში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ-სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნაოლალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფალავასთან **მაღლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვადასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საავარაკო** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

# მ უ შ ა ო ბ ს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ყორყოლაძეების
# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (მალარეიას) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის".

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების
# ზუგდიდის განყოფილება

იწვევს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლისათვის მასწავლებელს, რომლისათვის სავალდებულოა ქართული სიმღერა-გალობის ცოდნა. ჯამაგირი ექნება წელიწადში 400 მან. მასთან ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს დ. ზუგდიდში გამგეობის სახელზე.

მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა
ყოველკვირეულ სალიტერატურო, საპოლიტიკო და ეკონომიურ გაზეთზე

# შრომა

გაზეთი გამოდის 3 მარტიდან 1914 წ.

რედაქცია გადავიდა ძველი ბინიდან გიმნაზიის ქუჩაზე ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის" გვერდით—კირაკოზოვის შენობაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| **გაზეთის ფასი** | ერთი წლით — — | 2 მან. — | კაპ. |
| | ნახევარი წლით — — | 1 მან. 20 | „ |
| | ერთი თვით — — | 20 | „ |
| | **ცალკე ნუმერი** — — | 5 | „ |

განცხადების ფასი I გვერდზე პეტიტით პწკარი 15 კ. უკანასკნელზე 10 კ. ფული და წერილები მიიღება შემდეგი მისამართით: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „ШРОМА".

სტამბა „ძმობა", პუშკინისქუჩა სახლი, გოკიელოვის